... მეორე ტაიმში

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 26 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) _ “ტორპედო” (ქუთაისი) 3:1 (1:1).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, ხართიშვილი, იამანიძე დათუნაშვილი, ასათიანი, ბარქაია, მაისურაძე.

“ტორპედო”: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ზარია, კუტივაძე, ასიტაშვილი, ვეკუა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, გ. ნოდია.

მსაჯი ვ. ბაბუშკინი (მოსკოვი).

ძნელი სათქმელია, რატომ დაიწყეს გუშინდელი მატჩი მეტოქეებმა ასე დუნედ და დაბალ ტემპში. მინდორზე უმთავრესად სიწყნარე სუფევდა, ორივე გუნდი ერიდებოდა გამწვავებას, სისწრაფეს და საკმაო ხნის განმავლობაში ბურთი ტრიალებდა მინდვრის შუაგულში, ორ საჯარიმო მოედანს შორის.

ფაქტიურად ეს იყო ბრძოლა “დინამოსა” და “ტორპედოს” ნახევარმცველებს შორის. იგი საკმაოდ პრინციპულ ხასიათს ატარებდა და თანდათან გამოირკვა, რომ ქუთაისელთა გუნდში ეს რგოლი ყველაზე ძლიერია. ასიტაშვილი თამაშობდა ძალზე აქტიურად, ვრცელ ტერიტორიაზე, ხოლო კუტივაძე ზუსტი გადაცემებით, არა მარტო განაგებდა თავისი თავდამსხმელების მოქმედებას, არამედ თვითონაც ხშირად მონაწილეობდა შეტევის დასკვნით სტადიაში.

ამ მონოტონურ თამაშში პირველ გოლს თითქოს მოულოდნელი ხასიათი ჰქონდა. დინამოელებმა 38-ე წუთზე გაითამაშეს საჯარიმო, რომელიც ძლიერი დარტყმით დაამთავრა ღიად დარჩენილმა დათუნაშვილმა _ 1:0.

ეს გოლი ტორპედოელებმა გაქვითეს ტაიმის დასასრულს. კუტივაძემ წამოიწყო მორიგი კომბინაცია, შემდეგ ვეკუა გაიჭრა თავის ფლანგზე. ბურთი საჯარიმო მოედანზე ჩააწოდა და ჩხარტიშვილმა ბადეში გაგზავნა იგი.

თანაბარ ბრძოლაში გარდატეხა მეორე ტაიმში მოხდა. კუტივაძე დინამოელებმა საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანეს (ხართიშვილი), რამაც “ტორპედოს” თამაშს მკვეთრად მოუსპო აგრესია. ქუთაისელთა ორი ცენტრალური თავდამსხმელი პასიურ მოწმეებად იქცნენ, თანაც წივწივაძე და ზარია ხშირად უშვებდნენ შეცდომებს. “დინამოს” შეტევებს ძალიან სახიფათო ხასიათი მიეცა, რის შედეგადაც კვასხვაძეს ზედიზედ უხდებოდა თამაშში ჩაბმა.

მეორე გოლის ავტორი გახდა ასათიანი, რომელმაც კარგად გამოიყენა დათუნაშვილის მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი და თავით გაიტანა იგი, ხოლო 39-ე წუთზე მაისურაძემ მესამე გოლი მოათავსა მეტოქის კარში.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 27 აპრილი, 1966 წ.